საზოგადოებასთან ურთიერთობაში Web 2.0-ის გამოყენების ეფექტურობის განმაპირობებელი ფაქტორები

სალომე ლილუაშვილი

ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ინფორმაციის მენეჯერის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პროგრამა: ინფორმაციის მენეჯმენტი

სამეცნიეროხელმძღვანელი: ნათია გაბრიჩიძე, მაგისტრი

დავით კიზირია, მაგისტრი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის

თბილისი 201

”როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.”

სალომე ლილუაშვილი

09.07.2014

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომის მიზანია საზოგადოებასთან ურთიერთობაში Web 2.0 მიდგომების გამოყენების ეფექტურობის განმაპირობებელი ფაქტორების შესწავლა.

ნაშრომში განხილულია, თუ რა განაპირობებს აღნიშნული მიდგომების გამოყენების ეფექტურობას და რატომ ხდება Web 2.0 საზოგადოებასთან ურთიერთობაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი.

კვლევა ეფუძნება, როგორც ავტორიტეტულ სამეცნიერო ნაშრომებს და სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევების შედეგების ანალიზს, ასევე ქართველ ინტერნეტ მომხმარებლებთან ჩატარებული მასობრივი გამოკითხვის შედეგებს. გარდა ამისა, ნაშრომში გამოყენებულია რამდენიმე საინტერესო ქეისი, რომლებიც საზოგადოებასთან ურთიერთობის სფეროს სპეციალისტების მიერ აღიარებულია როგორც საზოგადოებასთან ურთიერთობაში Web 2.0-ის გამოყენების წარმატებული მაგალითები.

კვლევის შედეგებში ჩამოყალიბებულია ის კონკრეტული ფაქტორები, რომლებიც განაპირობებს Web 2.0-ის ეფექტურობას და რომელთა ცოდნა და გააზრება მნიშვნელოვნად დაეხმარებათ საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტებს პიარ გეგმის სწორად დაგეგმვასა და განხორციელებაში.

ძირითადი საძიებო სიტყვები: საზოგადოებასთან ურთიერთობა, პიარი, ფაბლიკ რილეიშენზი, Web 2.0, სოციალური მედია, ბლოგინგი.